№ 73 16 მკათათვე, პარასკევი 1866—1876 16 მკათათვე, პარასკევი № 73

დროება

ГАЗЕТА „ДРОЭБА“

ГАЗЕТА ВЫХОДИТ ВЪ ТИФЛИСѢ ПЯТЬ РАЗЪ ВЪ НЕДѢЛЮ

РЕДАКЦІЯ

ველიამინოვის ქუჩაზე, პრინცეს ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან. ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ГАЗЕТА ВЫХОДИТ ПЯТЬ РАЗЪ ВЪ НЕДѢЛЮ ВЪ ВИДѢ ЛИСТОВЪ ОБЫКНОВЕННАГО ФОРМАТА И ПОЛУЛИСТОВЪ.

დღეს, რა დღესაც ასის წლის წინათ პირველად გამოცხადდა ფილადელფიაში ამერიკის დამოუკიდებლობა, იმავე ფილადელფიაში მოგროვილი იყო თითქმის მთელი ამერიკის წარმომადგენელნი და აქ გაიხსნა მსოფლიო გამოფენა.

დილიდამვე აურებელი ხალხი, მხიარულის სახით და სადღესასწაულო ტანისამოსით დაიარებოდა ქუჩებზე. განსაკუთრებით იმ სახლის წინ იყო შექუჩული ხალხი, რომელშიაც 1774 წელს შეკრებილ დეპუტატებმა ამერიკის განთავისუფლება გამოაცხადეს.

ბრაზილიის იმპერატორი, სვედიის კაროლი ოსკარი, ყველა ელჩები უცხო ქვეყნებისა, ყველა დიდ-კაცობა და პატარა-კაცობა დაესწრო შუადღეზე ზემოხსენებულ „უფლებათა დეკლარაციის“ წაკითხვას.

მთელი ღამე ქალაქი გაჩირაღდნებული იყო, ყველა სახლებზე ამერიკის ნაციონალური დროშები იყვნენ ამართული, პატრიოტულ სიმღერას მღეროდნენ ქუჩებში და სახლებში...

არ აგიწერთ დაწვრილებით ამ ხალხის დღესასწაულს; არ აგიწერთ იმიტომ, რომ გარეგან ცერემონიების და მხიარულების აწერას მაგდენი მნიშვნელობა არა აქვს: საქმე იმ შინაგან მხიარულებაშია, იმ კმაყოფილებაში და ბედნიერებაშია, რომელსაც ყოველი ამერიკელი უნდა გრძნობდეს, როცა მოიგონებს, რომ ასი წელიწადია, რაც ის თავისუფალია და ამ ხნის განმავლობაში, ამ თავისუფლების წყალობით, იმან შეიძინა ისეთი საერო წესები, ისეთი კეთილ-დღეობა, რომელსაც ევროპის თითქმის ყველა ხალხები შეჰნატრიან ახლა....

ს. მ.

საქართველო

დღიური

ამ სიცხეებმა სისხლი აუდუღა ხალხს: უკანასკნელი კვირის განმავლობაში, თითქმის განუწყვეტელ ჩხუბის ამბებს გვატყობინებენ! ჩვენი კლუბებიდამ დაიწყეს: ერთი ჩხუბი ვაჭრების კლუბში იყო, ერთიც შეხთქება თფილისის წრეში. გასულ სამშაბათს ვიღაც თათარსა და სომეხს მოსვლიათ ჩხუბი ისეთს საგანზე, რომლის ხსენება გაზეთში არ შეიძლება. სომეხს მუცელში უკრავს სატევარი თათრისთვის და ნაწლევები გადმოუყრევინებია. მეორე თათარი ქალაქის საავათმყოფოს ზედამხედველს მოუკლავს: სამი ავაზაკი თათარი შევარდნილა, ერთს იმათგანს ყელში წაუჭერია ხელი, ახლავ ფული მოიტა, თორემ დაგაღრჩობო. ზედამხედველს უთქვამს, ხელი გამიშვი, ბალიშ ქვეშა მაქვს გასაღებები, გამოვიღებ, შკაფს გავაღებ და რაც ფული მაქვს, მოგცემთო. თათარს მართლაც ხელი გაუშვია; მაგრამ ზედამხედველს, გასაღებების მაგიერ, რევოლვერი გამოუღია ბალიშის ქვეშიდამ, ორჯელ უსროლია თათრისთვის, ერთი შუბლში უკრავს, მეორე გულში და იქვე წაუწვენია. დანარჩენი ორი ავაზაკი კი გაქცეულა.

***

ჩვენ მოგვივიდა ქუთაისიდამ შემდეგი ცნობა, რომლის სიბეჯითეში ავტორი გვარწმუნებს და თუ საჭირო იქნება, შემიძლიან დავამტკიცოო, გვწერს:

„ამას წინეთ ვიღამაც გამოაცხადა თქვენს გაზეთში, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლიდამ უბრალო მიზეზებით შაგირდებს რიცხვენო. ეს სიტყვები თვით უფ. „დროების“ რედაქტორმა გაამტყუნა. მაგრამ იმისგან გამოჯავრებულმა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოს წევრებმა დღეს სამოც-და-ათი შაგირდი ერთბაშათ გამორიცხეს.

„ძლიერ გასაკვირველია ეს ამბავი. რა არის მიზეზი ამდენი შაგირდის გამორიცხვისა? ამდენი შაგირდი ერთბაშათ რომელიმე სასწავლებლიდამ როგორ გამოირიცხება! ზოგიერთები ამბობენ, ეს მოახდინეს სასწავლებლის გასაწმენდათო!

„დღეს სამღვდელოებას წინადადებას აძლევენ მეორე კლასი ააშენეთო. არ ვიცი, რათ უნდათ, ყოველ წელიწადში თუ ამდენი შაგირდები გამორიცხეს?

„ზოგიერთი მასწავლებლები ბრძანებენ, შაგირდებს გულისყური დაეკარგათ და ვეღარ სწავლობენო; ნიჭი მათ არა აქვთ სწავლისაო. მაგრამ ვის არ აქვს ნიჭი: შაგირდებს თუ მათ უფროსებს, ეს ჯერ-ჯერობით არ დამტკიცებულა.

„რამდენი ხანია იმერეთის სამღვდელოება სასწავლებლის ზედამხედველს სთხოვს ანგარიშის მიცემას, თანახმად კანონისა, მაგრამ დღემდის იმის კანონიერი მოთხოვნილება არ დაკმაყოფილებულა.

„როგორც ამბობენ ყრილობაზე რომ სამღვდელოებმა სმეტა განიხილეს და დაამტკიცეს, იმას გარდა კიდევ ხუთას თუმანმდისინ არის დახარჯული.

„ჩვენი ნასწავლი ყმაწვილები გერცოგოვინელებზე კი ბევრს ყვირიან და თავის ძმებზე და შვილებზე კი არაფერს არ ამბობენ.

„სამღვდელოების ყრილობა ამ წელიწადში იყო დანიშნული 1, 2, 3 და 4 სექტემბრის რიცხვებში. მაგრამ უ. სასწავლებლის ზედამხედველს გონივრულად განუზრახავს და ყრილობა დაუნიშვნინებია 17, 18, 19 და 20 მომავლის აგვისტოს რიცხვისთვის. ეს, უეჭველია, ამისთვის, რომ სექტემბერში შაგირდების გამორიცხვას გაიგებდნენ მღვდლები და პასუხს მოსთხოვდნენ და აგვისტოში კი არავის ეცოდინება.

„ნეტავი რას აკეთებენ სამღვდელოების მხრით დანიშნული წევრები?“

***

ქუთაისიდამვე გვწერენ, რომ ამას წინათ რომ აქ ერთი ახალგაზდა ყმაწვილის სასარგებლოდ ქართული წარმოდგენა იყოო გამართული, იქიდამ სულ 281 მანეთი შემოვიდაო და 45 მანეთი კი დაიხარჯაო. დანარჩენი 236 მან. მოთავეებს ხსენებული ახალგაზდასთვის გადაუციათ...

***

ამ მკათათვის ათს გაცხარებული ჩხუბი მომხდარა სიღნაღს რუსის სალდათებსა და მედუქნე სომხებს შუა. ჯერ სამი სალდათი ვიღაც ერთ სომეხს წასჩხუბებია და ბევრი უცემიათ ერთმანეთისათვის; შემდგომ ყარაულხანის სალდათებს შეუტყვიათ, ჩვენებს სცემენო, ჩამორეულან ხიშტებით და კარგი ლაზათიანი ცემა-ტყეპა გამართულა. ბოლოს ოფიცრები და პოლიცია მოსულან და როგორც იყო დაუშვიდებიათ სალდათები. როგორც მნახველი გვწერს, ამ ჩხუბში რვა კაცი დაიჭრა მსუბუქად ხიშტებითაო.

***

სვანეთიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ ამჟამათ ქუთაისის ოლქის სასამართლოს განყოფილება ლაილაშში იმყოფება, საქმეების გასარჩევადაო, და ამის გამო მთელი სვანეთიდამ უანგარიშო კაცი და ქალი ყრიან იქ მიხმობილიო თუ დამნაშავენი, თუ მოდავენი და თუ მოწმებიო.

მაგრამ კაცის მკვლელები და სხვა მძიმე დამნაშავეები, რომელნიც თავდებ ქვეშ იყვნენ გაშვებულნი, ნახევარი არ წავიდაო:—ვიცი, რომ ციმბირში მატუციებენ თავსო და ისევ მირჩევნია აქვე მოვკვდეო, ამბობენ თურმე ესენი.

***

სვანეთიდამვე გვატყობინებენ, რომ წელს აქ შიმშილობა არისო; მაგრამ ახლა კი როგორც არის გადაურჩებიან ამ სენს, რადგან პირუტყვი ჰყავთ და იმის იმედი აქვთ: დაკლენ და სჭამენ. უბედურება ეს არისო, ამბობს ჩვენი კორრესპონდენტი, რომ მომავალ წელს უარეს შიმშილსა და გაჭირებას მოველით, რადგან 1 მარტიდამ ოც-და-ცხრა აპრილამდინ აქ ერთი წვეთი წვიმა არ ჩამოვარდნილაო და ამის გამო ყველაფერი გახმა, გაფუჭდაო.

***

აქაური აზნაურობა ძალიან აღელვებული არის ამ ჟამათო, გვწერენ სვანეთიდამვე, რადგან შეუტყვიათო, რომ ისინი არ არიან დამტკიცებულნი აზნაურებად. „ჩვენ რომ გლეხებსავით გადასახადი დაგვედვასო, ამბობენ თურმე ისინი, მაშინ ჩვენი ხელითვე უნდა მოვიკლათ თავი, რადად გვინდა სიცოცხლეო! ჰაიმე! რა დროება მოვიდა! დევდარიანები, ჟორჟოლიანები, გოშთეელიანები, ჯაფარიძეები გლეხებად უნდა დავრჩეთ? და ფოჩტის ფულისათვის უნდა მოგვადგნენ?!“

„დროების“ კორრესპონდენცია

გორი, 12 ივლისს (დასასრული). წელს, ე. ი. ამ უკანასკნელ ექვს თვეში, ჩვენს გორის მაზრაში, სამოც-და-რვა კაცი დალახული ითვლება.

ირლანდიის სახელი ძველებურ ირლანდიურ ენაზე—Erin, რომელიც გამოითქმის ირინ. ზაცს ჰგონია, რომ ეს ინგლისურ ენისთვის უცხო სიტყვა გამოჰთქვამს რომელსამე პირის საკუთარ სახელსა, და ეს ცდუნება ხშირად გადიდებულია ირლანდიის მომღერლების მემკვიდრეების მიერ, იმ განუვითარებელ კილოთა, რომელიც მათ გაიჩინეს. ისინი მიმართვენ მამულს იმნაირის სიტყვებით, იმნაირ სინარნარით და თავშემოვლებით, რომ კაცი დაფიქრდება, თუ ნეტავ ნამდვილი და ცოცხალი პირი არ არის ის, ვინც ამ სიტყვებს ათქმევინებს, თუ ის მართლა ვინმე უბედური დედა არ არის, ან მეგობარი, რომელიც მონებაში წვალობს, ან ცოლი, რომელიც დროებით სახლში არ არის, ანუ სამუდამოდ დაკარგულია!

ირლანდიის პირველი პოეტი, ტომას მური, ჩვენის დროის ერთი უდიდეს პოეტთაგანია. მისი სიმღერები შემდეგ სიტყვებით დაიწყებიან, რომელთაც იგი მიმართავს სრულებით დაუსახელებელ საგანს: „მე ვიმედოვნებდი შენს ბედნიერად და ბრწყინვალედ ნახვას.... მათ, ვინც შენ გიყვარდა, მიგატოვეს.... ვიტიროთ, რამეთუ იგი აღარ გვყავს....“

წარმოიდგინეთ, რომ ხშირად მამულის ნიადაგი სრულებით გაკვრითაც არ არის ნახსენები. მერე ირლანდიელების პატრიოტობა ყოველდღიურ გულისწადილის უბრალო ფერით გადაცემული. ამნაირ პატრიოტობას ძალდაუტანებლად შეუძლია გამოიხატოს კაცის მთელს ცხოვრებაში. ქალებს შეუძლიან ის გამოთქვან თავიანთ სქესის დაუტოვებლად; მათთვის ეს შეადგენს თითქო მეორე სიყვარულს.

მართლაც, ყოველი მგრძნობელი ირლანდიელი ქალი პატრიოტია. ხშირად ნახავთ ფრიად მხიარულ დღესასწაულებზე მშვენიერს ქალებსა, ცოცხალთ და უზრუნველებსა, რომელნიც, თქვენის ჰაზრით, მარტო თავის მოწონებაზე, მარტო სიყმაწვილის ბედნიერებაზე ჰფიქრობენ; ხშირად ნახავთ, რომ ამისთანა ქალებს დააქვთ თავიანთ ბეჭდების ან სამაჯურების თვლებზე ამოჭრილი ეს ძველებური პატრიოტული დევიზი, ძველებურ ხალხოსნურ ენაზე:

„Erin ma vournin!“ (ჩემო ძვირფასო ირლანდიავ!)

არიან ხალხები, რომელთა გრძელი მახსოვრობა აქვთ, რომელთა მონებაშიაც არ ჰსცილდება დამოუკიდებლობის ჰაზრი და ეძაგებათ თავისი მდგომარეობა, რომელნიც არ ურიგდებიან აწმყოს, რაც უნდა მძლავრი იყოს ის და უარსჰყოფენ იმისთანა არსებობაზე, რომელიც მათ დაადვა, მათ-და-უნებურად, უდიდესმა ძალამ.

ამისთანა არის ირლანდიელი ხალხი. ეს ხალხი, დაპყრობილი ინგლისის მმართებლობის მიერ, უარსჰყოფს, აგერ ექვსასი წელიწადია მას აქეთ, ამ მმართებლობასთან დათანხმებას და მისს ცნობას; იგი ახლაც ისე უკუაგდებს ამ მმართებლობას, როგორც უკუაგდებდა პირველ დღეს; ეხლაც იმავე ძალით ეწინააღმდეგება მას, როგორც ეწინააღმდეგებოდა წინეთ, იმ ბრძოლაში, რომელშიაც იგი ძლეული დარჩა. ამ შემთხვევაში იგი აჯანყებაში კი არა ჰსთელის თავს, არამედ სამართლიანს და კანონიერს ომში...

ა. ჭ.

პარიჟი, 4 (16) ივნისს

ამათგანი ბევრი მძიმეთაა დაკოდილი და, რასაკვირველია, მცირედი რიცხვი მაინც არი დასაჩივრებული დარჩება; ამ რიცხვთა შორის სურამის მომრიგებელ მოსამართლეს თანამდებობის აღმსრულებელი — უფ. სალანცკიც ურევია, რომლის შემთხვევაც შეტყობილი აქვს თქვენს მკითხველს; აგრეთვე ის შესანიშნავი ჩხუბიც, რომელიც მაისის 5 ცხინვალში მოხდა, სადაც თავადი, აზნაური და გლეხი ერთმანეთში კალიასავით დაერივნენ და 11 კაცი მეტი, ომის გარდახდისა და გაშველების შემდეგ, დალახულები აღმოჩნდა.

მაგრამ უფრო კი საწუხარო და უბედური შემთხვევები შემდეგი არიან:

იანვრის 1 სურამში დისტანციის უფროსის თანაშემწე უეცრად მოკვდა ინჟინერ ზაგჰეს სახლში, რომელსაც სტუმრები ჰყავდა მოწვეული ძველი წელიწადის გასაცილებლად. ეს კაცი, როგორც ამბობენ, კარგა მხიარულათ იყოვო, ბევრიც იტანციაო და ბოლოს კი სული შეეხუთა, გონება დაეკარგა და განუტევა სული საცოდავმა. მიზეზი ბოლოს სატკივარი აღმოჩნდა.

თებერვლის 1 სოფ. სხლითში მცხოვრებნი სამი კაცი წასულიყვნენ სხვა სოფელში თავიანთ მებატონეებთან შობის მისალოცათ; იქ კარგა ჩაელიათ და შინათკენ რო გამოემგზავრნენ, გზაზედ რაღაცაზედ მოუვიდათ ჩხუბი და ერთმა მათგანმა ხანჯლით თავის ამხანაგი მძიმეთ დასჭრა თავში. ეს კაცი ბევრი წამლობისა და ტანჯვის შემდეგ 11 თებერვალს ტვინის ანთებით მოკვდა.

ამავე თვის 16 ქასპის სტანციიდგან მე $1^1/_2$ ვერსზე, რკინის გზის ბუტკაში, ერთი იქაური კაცი იმყოფებოდა ყარაულათ; ამ ყარაულს შინ ერთი ყრუ ძმა ჰყოლია, რომელიც თურმე ყოველთვის უზიდამდა მას პურსა, ჩვეულებისამებრ; ეს ყრუ პურის მოტანის შემდეგ რომ გამგზავრდა შინათკენ, ამ დროს ტფილისიდგან მომავლებულმა პოეზდმაც მოატანა. მაშინისტმა, დაინახა თუ არა, ბევრი უსტვინა, ბევრიც უყვირა, მაგრამ უბედურმა სიყრუეს გამო ვერა გაიგორა და როდესაც პოეზდმა წააქცია კიდეც, მაშინისტმა ბევრი ეცადა გაეჩერებინა პოეზდი, მარა გვიანღა იყო: სანამ ქვეშ არ გაისრისა ვერა გააწყორა.

ამავე თვის 26, ქ. გორში ერთი გადამდგარი სალდათი, რომელსაც თურმე დიდი ხანი სტანჯამდა გულქიდება, უეცრივ მოკვდა.

მარტის 1 სურამში, ერთი იქაური მცხოვრებელი გვარად მამინოვი უგონოთ მთვრალი სალამოს ხანს მიეარდნოდა ცოლს ხანჯალ ამოღებული და თხოულობდა საჩქაროთ კარის გაღებას; კარის გაღებისვე უმალ ამ კაცმა დაუწყო ცოლს შეუბრალებლივ ხანჯლით კეპვა. ამდროს იმისმა მეზობელმა ქუპრაძემ ბაზარში მიმავლებულმა, შენიშნა ეს ამბავი თუ არა, მაშინვე მიეარდა გასაშველებლად. მამინოვმა თავი ანება ცოლს და ცოფიანი მგელივით მიეარდა ხანჯალ ამოღებული ქუპრაძეს, ჰკრა მუცელში და იქვე სული განათხევინა.

ამავე თვის 17, სურამში ერთ რუსის სალდათის ცოლს ქმარი მოუკვდა ავათმყოფობის შემდეგ, და ფერშალზე ჩიოდა, იმან უწესოდ აძლია წამალი და ამიტომ მოკვდაო.

ამავე თვის 24, სოფ. სავანლისხევში ერთი რუსის დედაკაცი რაღაც საგანზედ ახირებოდა თავის საყვარელს რუსს და ხაშურისკენ გამოეწია; ის რუსი დასწეოდა და დანით მკერდი სულ აეკუწა და მოეკლა.

ამავე თვის 27, სოფ. ოსიაურზედ ხუთ ვერსის მოშორებით, მტკვარში ტომარაში ჩადებული მკვდარი კაცი იპოვეს. ექიმის შემოწმებით როგორც აღმოჩნდა, ჯერ მოეკლათ და მერე ტომარაში ჩაედვათ და მტკვარში ჩაეგდოთ.

მაგრამ უფრო შესანიშნავს ორს ბარბაროსულ მოქმედებას აგიწერთ, რომელშიაც კეთილშობილნი თამაშობენ როლს:

პირველი. აპრილის 8 ნადარბაზევის ახლო სოფ. ნიგოზაა, რომელშიაც მწყემსი ოსები დგანან; ერთს ამათგანს მცხვარი გაერეკა მტკვარში საბანაოთ; გზაზედ აზნაურის ბასილაშვილის მამულზედ ჩაიელიდა; ეს ბასილაშვილებიც იქვე ახლოს სოფ. ზეგარდას დგანან. როდესაც ცხვარი მიუდიოდათ ოსებს იმათ მამულზედ, ამ ბასილაშვილების პატარა დას დაენახა და მძინარე ძმა გაეღვიძებინა (თურმე წინათაც უსიამოვნება ჰქონოდათ), რომელიც წამომხტარიყო მაშინათვე, ჩამოელო საფანტით გატენილი თოფი და ერთი უმცროსი ძმით გამოსდგომოდა მცხვარეებს; დაეწივნენ თუ არა, მცხვარს დაუწყეს ტაცება, ოსები ამაზედ აუხირდნენ და შეებათ ჩხუბი; ასე რომ უმცროსმა ბასილაშვილმა თოფი მიუნიშნა კიდეც, მაგრამ ფისტონი გასქდა და არ გავარდა; ამაობაში ჯოხით ოსებმაც ერთი გაარტყეს უფროს ძმას, რომელმაც წაჰგლიჯა ხელიდგან თოფი თავის უმცროს ძმას და ფერდში ჰკრა ერთს ოსს. ერთს საათს უკან ეს ოსი იქვე მოკვდა და მკვდარი შინ ჩაიტანეს. მკვდარი რო შემოიტანეს, ცოლი მისი ლოგინზედ დაწოლილიყო, ვაჟიშვილი მისცემოდა, და ეს საცოდავი და უმისოთაც გატანჯული დედაკაცი ჯავრით კინაღამ მოკვდა.

ეს კიდევ არაფერი: ექიმი რომ მივიდა მკვდრის გასაშინჯათ, რაც მშობიარესთან დედაკაცები იყვნენ და სხვა კაცებიც, გარეთ გამოიყვანეს; დარჩა მხოლოდ მკვდრის მამა და მელოგინე. მამა ზედ მკვდარზე გაწვა და ღრიალებდა: — სანამ მეც არ მამკლამთ, ჩემს შვილს არ გაგაჭრევინებთო, და სხვა. ესიც როგორც იყო გამოძიებელმა გარეთ გამოაყვანინა, მაგრამ საწყალ მელოგინეს კი თვალით აჩვენეს თავის ქმრის მეორეთ ტანჯვა; ჯერ წარმოიდგინეთ, ქალები ამისთანა შემთხვევებში რა მშიშრები არიან, ახლა კიდე მელოგინე ავათმყოფს ქალს ეს ტანჯვა შეხვდა. საცოდავი სულ ვაებით იკლებდა იქაურობას.... აი, ჩემო ბატონო, კეთილშობილმა კაცმა ერთი ბატკნისათვის რა ამბები ჩაიდინა. მკვლელი ციხეშია დაჭერილი, და, როგორც ისმის, ამ დღეებში თავდებობით უპირებენ განთავისუფლებას. ეს საწყალი მწყემსები არა ხვნენ, არა სთესვენ, მათი ლუკმაც ცხვარია და რა თქმა უნდა, რომ მთელ ზამთარ ტანჯვით გამოზდილ ბატკნებს არავის დაანებებენ.

მეორე. ამავე თვის 24, სურამში ერთს იქაურ კეთილშობილ-დარბაისელ და ცოლშვილიან პირს, უ. ს. ქ, ამ შვიდი წლის წინეთ, ერთი ექვსი წლის გოგო მიუღია თავისთან, იმ ჰაზრით რომ სამადლო საქმე გაეწია და გაეზარდა. ეს მოსამსახურე გოგო წელს თითქმის ასაკს მოყოლა (13 წლისაა) და რაღაც მიზეზის გამო აპრილის 22 თავის ბატონისა და ქალბატონის უცნობლივ, საცალა დაკარგულიყო; შემდეგ პოლიციის გამოძიებით ერთს ცოლ-შვილიან პირთან აღმოჩნდა. გამოკითხვის დროს — თუ რა მიზეზით გაიქცა, შემდეგი აჩვენა ტირილით: „რა ვქნა, შენი ჭირიმე, ჯერ ერთხელ 18 აპრილს, ჩემა ბატონმა დამიჭირა ოთახშიო და ძალა მოიხმარაო, მაგრამ მაშინ იძლენათ შეწუხება ვერა ვიგრძენო; ახლა კიდევ 22 აპრილს, ხელმეორეთ დამიწყო ტანჯვა და თავის გულის საწადელი კიდეც აღასრულაო, კინაღამ მამკლაო და მაგ ულმერთოსთან რაღა დამაყენებდა, ბატონო.“ აი რა გვარ მსხვერპლათ ხდებიან ეს უბედური უპატრონო ბავშვები!

ამთვეშივე, სოფ. ზემოერმანს ერთს ოსს თოფით თავი მოეკლა, მიზეზი ვერ გაიგეს.

მაისის 17, სოფ. ნიჩბისში ერთს მწყემსს გაუფრთხილებლობის გამო თოფი გაუვარდა, მუცელში მოირტყა და იქვე მოკვდა.

ამ თვისავე 29, სოფ. ქისილისში, რომელიც მდებარეობს სათარხნო მთაში, რომელშიაც მთიულები ასახლიან, ერთს მთიულს ოციოდე სული ცხვარი ყვანდა, თათრებმა ფარეხი გაუტეხეს, ათიოდ სული ცხვარი და რამდენიმე კანძი მატყლი მოჰპარეს. ეს კიდევ არაფერი; ახლაკიდევ მაისის ბოლოს რიცხვებში ერთ ფერდობზედ აძოებდა დანაშთენ ცხვარსა, ამ დროს ერთი თათარი პირქვე მოღოღავი სწვდა ერთ ყოჩს ფეხში და მიათრევდა. მთიულმა ეს დაინახა თუ არა, საჩქაროთ აიღო თოფი ხელში და ეღარცკი მოასწრო ბუდიდგან გამოღება, მიუნიშნა და იქვე გააჭიმვინა ფეხები. ეს მთიული მარტოხელი ბიჭია, სულ ოცი წლისა არ იქნება; თუმცა დაატუსაღეს, მარა ერთ კვირის უკან ისევ გაანთავისუფლეს.

ორიოდე სიტყვა ამ მთიულების ცხოვრებაზედ: გორის მაზრაში დიდი ხანი არ იქნება, რაც ესენი დუშეთის* მაზრიდგან გადმოსახლდნენ. მომეტებული ნაწილი მთებში ასახლიან, სათარხნო, საჯავახო და სხვა თავადიშვილების მთებში, ორას კომლამდე იქნებიან პატარ-პატარა სოფლებათ გაქსაქსულნი. ახლა წარმოიდგინეთ ამათი მდგომარეობა ამ მებატონეების ხელში: პირველში რო დასახლებულან, კომლზე წელიწადში ექვს-ექვსი მანეთი დაუწესებიათ გარდასახადი, შემდეგ როცა ტყე გაუტეხიათ და ცოტა ოჯახი გაუწყვიათ, მებატონებს უთქვამთ: თუ გსურთ ჩვენ მამულზედ დგომა, წელიწადში თითო თუმანი უნდა გვაძლიოთო, თუ არა და აიყარენით, სხვანი უნდა დავასახლოთო! აბა რა ჰქნან ამ უბედურებმა: მზათ გაწყობილ ოჯახს ოთხი მანეთისთვის ხო ვერ დაანგრევენ? ამაზედაც დათანხმებულან. გასულა რამდენიმე წელიწადი, ახლა თურმე კიდევ უპირებენ მომატებასაო და როდის უნდა მოეღოს ბოლო ამ მომატებას, ეგ ღმერთმან უწყის. ამ გადასახადის გარდა, ვისაც ცხვარი და ძროხა ჰყავს, იმის საბალახე კიდე სხვაა. ახლა კიდევ ყოველ წლობით რაკი კალოობა გაჩნდება, თარხნიანი აკიდებენ ხოლმე ჯორ-აქლემს კიტრსა, ხილს, ოტკას და ამოდიანო, გააჩენენ ოჩხრობას და რო არცკი შევხედოთ ზედ, ძალით ქოხებში შემოგვიყრიან ხოლმე ხილსაო; მერე დაივლიან ტომრებით და ჩანახით და მარგალიტივით პურს გვართმევენ და მიაქვთ დამპალ ხილშიო. ამის შემდეგ რა ხეირსღა უნდა მოელოდნენ ეს საცოდავები!

ამ თვისავე ბოლოს რიცხვებში, სავანელიც მოკლეს, რომლის თაობაზედაც გაზეთ „დროებაში“ ორ-ორი სტატიაა დაბეჭდილი.

ზემო-ხსენებულ დროსვე [illegible] ქეშელებს ეწიათ უბედურება: ჯერ ერთმა ბიჭმა რომელიც მტრედებზედ სანადიროდ წასულიყო, გულშივე თვითონ რაღაც ნაირ ხიფათით, არ საცოდნია ხმარება, საფანტით გატენილი თოფი მოჰხვედრია და იქვე გათავებულიყო. ახლა კიდევ მეორე დღეს ქარბელებმა ერთი ღიახვში დამხრჩვალი კაცი მოიტანეს იმ სოფლელივე. როგორც აღმოჩნდა, ეს კიდე ცხინვალს მიმავლებულიყო და წყალში გასვლის დროს ფონი ვერ ეპოვა და დამხრჩვალიყო. მთელი ერთი კვირა სულ ამათ გამოძიებას და მარხვას მოუნდა სოფელი.

თიბათვის 2 სოფ. საკორინთლოში ერთი კაცი ქკუაზე შეიშალა და დანით ყელი გამოიჭრა. ოთხ დღეს იცოცხლა და მერეკი სული დალია.

ამ თვისავე 23 ტირძნისსაც ის მღვდელი მოკლეს, რომლის თაობაზედაც „დროებაში“ არის სტატია დაბეჭდილი.

ამავე რიცხვებში ერთი სალდათი ხიდის-თავში უეცრივ ავათმყოფობის გამო მოკვდა.

ამ თვისავე 28, ორი როკელი ოსი მომავლებულიყვნენ სურამისკენ. ერთს ოსს მეორისა ფული მართებია; რო მოატანეს სოფ. ტახტიძირს, ჩხუბი მოსვლოდათ და იმ ოსს, რომელსაც ფული მართებია თავის მოვალეს ხანჯლით კისერი გაეგდებინებინა, მერე გაქცეულიყო შინვე და შეეტყობინებინა, ასე საქმე ჩაეიდინო.

და ერთიც ამ თვის ბოლოში გორის სტანციის და ქარელის შუა სოფ. სკრას სიახლოვეს პოეზდმა ერთი რუისელი კაცი, რომელიც ბუდკაში ყარაულათ იდგა, გასრისა.

აი, ჩემო ბატონო, რამდენათ მდიდარია ჩვენი გორი და მისი მაზრა ამ გვარ უბედურ შემთხვევებით! ეს ყოველივე ზემოდ მოყვანილი ამბები სულ ოფიციალურ წყაროდგან არიან შეკრებილნი, და რაც ისე ამბები ხდება, ის კიდევ სხვაა. რაც უეზდში მამხდარა რამე, ის რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენი გორისას კი დაწვრილებით შემდეგში მოგახსენებთ.

ზიარელი ჭურიკიძე.

უცხო ქვეყნები

ომის ამბავი. „ჰავასის“ აგენტობის დეპეშის სიტყვით, ამ ივლისის 11-ს ოსმალოს ჯარს ნევესინიეს ციხესთან დაუმარცხებია ჩერნოგორიელები. „ხალხთ-შორის აგენტობის“ დეპეშა კი, როგორც ყოველთვის, ახლაც სლავიანების გამარჯვებას გვაცნობებს: იმის სიტყვით, 9 ივლისს ზვორნიკთან ოსმალები სერბიელებს თავს დასცემიან, მაგრამ ამათ უკუ-უქცევიათ ისინი და რაკიტნოსთთან კიდეც ძალიან დაუმარცხებიათ.

აი ეს არის უკანასკნელი ამბები ბრძოლის ველიდამ. ერთის სიტყვით, ჯერ-ჯერობით არცერთ მხრისკენ არ ჰსძლევს სასწორი, არც ერთი მხარე არ იმარჯვებს ისე, რომ კაცმა სთქვას, საბოლოოთ ის დარჩება გამარჯვებულია: ხან ოსმალები რჩებიან გამარჯვებულები და ხან სლავიანები.

— ახლა მოვიდა დაწვრილებითი ამბები იმ დიდ ბრძოლაზე, რომელიც ამას წინათ (8ივლ.) იყო სერბიისა და

ოსმალოს ჯარებს შუა და რომელშიაც სერბიელები ასე დამარცხდნენ: 18 ბატალიონი სერბიისა, რომლის სარდლად ღენერალი ლეშანინი იყო, გამოსულა ზაიჩარიდამ და ვიდინის მახლობლად ოსმან-ფაშას დასცემია. ბრძოლა დილის 9 საათზე დაწყებულა და შუადღემდი სერბიელები იმარჯვებდნენ; მაგრამ ამ დროს ოსმან-ფაშას ახალი ჯარი მომატებია (ოსმალების მხრით ამ ომში 15 ათასი კაცი ყოფილა, სერბიელებისა 12 ათასამდე) და ნაშუადღევის ორს საათზე დამარცხებული სერბიელები გაქცეულან და ბრძოლის ველი დაუტოვებიათ. ორთავე შეომარის მხრით ამ ბრძოლაში ძალიან ბევრი დახოცილა და დაჭრილა.

— სტამბოლიდამ იწერებიან, რომ ბოსნიაში 3,000 სერბიელი დაამარცხეს და სერბიის სამზღვარამდი განდევნეს ოსმალეთის ჯარებმაო. მარტო ამ შეტაკებაში სერბიის მხრით სამასი კაცი მომკვდარა.

—

საფრანგეთი. სენატს უარუყვია სახალხო მინისტრის ვადინგტონის წინადადება, რომ „თავისუფალს“ (იეზუიტების) უნივერსიტეტებში დიპლომის მიცემა თვითონ უნივერსიტეტს რჩევაზე კი არა სახელმწიფოზე უნდა იყოს დამოკიდებულიო. თუმცა ამ წინადადების სასარგებლოდ სამინისტროს პრეზიდენტს დიუფორს ულაპარაკნია, მაგრამ სენატს, 144 ხმის უმეტესობით 139 ხმაზე, როგორც ზევით ვსთქვით, არ მიუღია ეს წინადადება.

სამინისტრო კრიზისი არ მოსალოდნელია, რადგან დეპუტატების პალატას (ნაციონალურ კრებას) სამინისტროს სრული ნდობა და რწმუნება გამოუცხადებია და ამასთანავე ერთხელ კიდევ გაუხელმძღვანელებია ნაპოლეონის დინასტიის სამუდამოთ ჩამოგდება საფრანგეთის ტახტიდამ.

განცხადებანი

მსურს ვიყიდო
ან არენდით ავიღო პატარა

მამული

ფოთი - თფილისის რკინის გზის მახლობლად, აჭარის სტანციიდამ ქუთაისამდინ. შეიძლება სახელმწიფო, პრიკაზისა ანუ საადგილ-მამულო ბანკის ვალით ავიღო.

მსურველს შეუძლია, წიგნით ანუ პირადათ, მიმართოს „დ რ ო ე ბ ი ს“ რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი დილის 8 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 1 საათამდინ.

(1—3)

ოძისის გამსესხებელ შემნახველი ამხანაგობის

ბალანსი

1-ს იანვრიდამ 1-ს ივლისამდის 1876 წლისა, დამტკიცებული ზედამხედველი რჩევისაგან.

აქტივი	მან.	კაპ.
კასსა	31	58
თფილისის საზოგადოებაში საურთიერთო ნდობისა საწევრო ფული . . .	150	„
გასესხებულა	4588	„
სარგებელი დაუბრუნდათ ვადაზედ წინ გადახდილი ნასესხისა	6	15
სასარგებლოდ შემოტანილი დაუბრუნდა პეტრიკნს სარგებლით . .	41	„
ნასესხები გადახდილა . .	4610	„
სარგებელი მიცემულა . . ნასესხებზედ	147	88
თფილისის საზოგადოებამ საურთიერთო ნდობისა დაგვიჭირა უსტავით . .	6	20
სამართველოს ხარჯი . .	205	94
ბალანსი —	9786	75

პასსივი	მან.	კაპ.
წილის ფული შემოსულა	133	60
სარგებელი დაჭერილა გასესხებისა და ახალი ვადის მიცემის დროს . .	317	60
სესხები დაბრუნებულა .	4778	„
ჯარიმა აღებულა . . .	27	60
სესხები აღებულა . . .	4500	„
თფილისის საზოგადოებისაგან საურთიერთო ნდობისა მივიღეთ წარსული წლის დივიდენდი. . .	18	45
ამავე საზოგადოებისაგან მივიღეთ დაჭერილი უსტავით 1875 წლისა. .	11	50
ბალანსი —	9786	75

გამგენი } მ. ქადაგოვი, გ. ოსეფოვი

(1—1)

ანგარიში

თიონეთის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა პირველ ნახევარ 1876 წლისა.

პირველ იანვრამდინ 1876 იმყოფებოდა:

	მან.	კაპ.
წილის ფული — — —	3542	60
სასარგებლოდ შემოტანილი	380	„
სესხები — — — — —	5231	„
სათადარიგო თანხა — —	54	44
წმინდა მოგება — — —	322	13
ჯამი —	9530	17

	მან.	კაპ.
გასესხებული — — — —	7810	„
დარჩა: ნაღდ ფულათ —	809	67
თფილისის სავაჭრო ბანკში პირველ მოთხოვნამდინ	700	„
თფილისის საზოგადოებაში საურთიერთო ნდობისა სარწმუნო შესატანი —	210	50
ჯამი —	9530	17

პირველს იანვრიდამ 1-ს ივნისამდინ 1886 წ.

შემოსავალი	მან.	კ.
წილის ფული — —	626	98
სარგებელი, დაჭერილი სესხობისა და ახალი ვადის მიცემის დროს — — —	393	32
დაბრუნებულა სესხები —	4,683	„
ჯარიმა — — — —	24	80
სასარგებლოდ შემოტანილი	150	„
შემდგომ აღებული სესხი	3,210	„
სათადარიგო თანხა — —	67	43
ჯამი	9,155	53

გასავალი	მან.	კაპ.
წილის ფული — —	399	36
მოგება წილზედ 1875 წლისა	151	76
გასესხებულა — — —	6,273	„
სარგებელი დაუბრუნდათ ვადაზედ წინ გადახდილი ნასესხისა — — — —	3	74
ნასესხი — — — — —	3,000	„
სარგებელი მიცემული ნასესხებზედ — — — —	75	50
სამმართველოს ხარჯი —	96	52
ალებ-მიცემობის შემოსავალი — — — — — —	170	37
ჯამი	10,170	25

1-ს ივლისის 1876 წლისა არის:

	მან.	კაპ.
წილის ფული — — —	3770	58
სასარგებლოდ შემოტანილი	530	„
სესხები აღებული — —	5441	„
სათადარიგო თანხა — —	121	87
წმინდა მოგება — — —	242	36
ჯამი	10105	81

	მან.	კაპ.
გასესხებული — — —	9400	„
დარჩენილი: ნაღდ ფულად	384	81
თფილისის სავაჭრო ბანკში	100	„
თფილისის საზოგადოებაში საურთიერთო ნდობისა სარწმუნო შესატანი — — —	221	„
ჯამი	10105	81

გამგენი სამმართველოსი: ვ. დოდაევი, მ. შაუკოვი, გ. გოჯაევი

(1—1)

კერძო ექვს კლასიანი რეალური

სასწავლებელი

კომმერციულის განყოფილებით

აცხადებს, რომ ამ სასწავლებელში მისაღები ეგზამენები წელს დაიწყება 16 აგვისტოდამ და თვითონ სწავლა კი 1 ენკენისთვიდამ.

სასწავლებელში მესამე კლასი იხსნება.

ამ სასწავლებლის კურსი სახელმწიფო რეალურ სასწავლებელთა კურსს უდრის.

უფრო დაწვრილებულ ცნობებისათვის მსურველს შეუძლია მიმართოს თვითონ სასწავლებელში, რომელიც იმყოფება:

სოლოლაკზე, სადოვის ქუჩაზე, ველიამინოვის ქუჩის პირ-და-პირ, შადინოვის სახლებში, № 34.

ი. მელიქ-ბეგლიაროვი
გ. თავაქალოვი

(3—3)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა. . .	—	—	—	—	-	68	-	38
გორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა .	—	—			5	81	3	23
ქუთაისი. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	11	44			9	75	5	42
ფოთი . .	8	40						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ქუთაისი .	11	51			3	4	1	69
ყვირილა. .	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
გორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
თფილისი .	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ — შაბათს დილის 8 საათ.

სტამბოლს — კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ — ორშაბ. ნაშუად. 3 საათ.

სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესსამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:	მ.	კაპ.
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოშტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ყახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:

თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) გ ო რ ი დ ა მ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

პეტერბურგი, 9 ივლისს	მან.	კაპ.
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში $3^1/_2$ პენსი.	—	84
პარიჟში $331^1/_2$ სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	6	
ბანკის ბილეთი 5%	99	25
მოგებიანი (პირველისესხი)	198	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	196	50
გიraოს ფურცლები:		
თფილ. სააზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	88	—
მოსკოვის (5%). . . .	91	25
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	158	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	139	50
შავიზღვის ცეცხ. გემების	530	—
კავკაზის და მერკურის. .	205	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	724	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	260	—

მაზანდა

თფილისი, 15 ივლისს	მან.	კაპ.
პური შორაგალის ფუთ.	—	80
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	50
— ამერიკისა, ფუთი. .	6	30
გაპენტილი ბამბა ფუ.	8	—
მატყლი თუშური ფუ. .	7	50
— თარაქამისა ფუ. .	7	50
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	30
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	45
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	54
სპირტი, ვედრო. . .	6	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	—
— ფხვნილი ფუთი . .	6	—
ყავა გრგვალი ფუთი .	19	50
ზეთი ქუნჯუთისა ფუ.	5	50
ოქრო ½ იმპერიალი. .	6	18

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Іюля 1876 г. Типографія Меликова и Ко. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.